

1958/2



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 2 (83)

აკრილი

1958 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

7610

1. ბრძანებულება მოძრაობის წესების და ავტომატური ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის მუშუატი ავტომატური მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ
2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების თადარიგის და კადრის ოფიცერთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
3. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ქ. თბილისის დაცვის გასამხედროებელი სახანძრო რაზმის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
4. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკების დაჯილდოების შესახებ მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“
5. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკთა ხანძარსაწინააღმდეგო ნებაყოფლობითი შენაერთების წევრთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
6. სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩეველების წინაშე ანგარიშის ჩაბარების მდგომარეობისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის შესახებ
7. „წერილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ
8. „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ
9. ბრძანებულება საქართველოს სახელმწიფო კვარტეტისათვის საქართველოს დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ
10. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხელოვნების მოღვაწეებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ
11. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
12. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც გამოიჩინეს თავი ქ. ქუთაისში ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების საქმეში
13. ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 881 მუხლის ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების და საქართველოს სსრ საოქალაქო სამართლის კოდექსში 1471 მუხლის შეტანის შესახებ
14. ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის

- ამხ. კ. ს. ციმაკურიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან
15. ბრძანებულება ამხ. ო. დ. გოცირიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან
16. ბრძანებულება ამხ. ო. დ. გოცირიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ
17. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობისაგან
18. ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის საქართველოს სსრ მინისტრად დანიშვნის შესახებ
19. ბრძანებულება ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის მედიცინის მუშაკთათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ
20. ბრძანებულება ამიერკავკასიის საოლქო სამხედრო ჰოსპიტლის პირადი შემადგენლობის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
21. ბრძანებულება ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
22. ბრძანებულება ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით
23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების უფროსის შესახებ
24. ბრძანებულება საქართველოს სსრ კიათურის რაიონის გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება მოძრაობის წესების და ავტომანქანების ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის მსუბუქი ავტომანქანების მფლობელთა და ამ მანქანების მძღოლთა პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებს და ამ მანქანების მძღოლებს, რომლებიც ეწევიან ტექნიკურად არაწესიერ მდგომარეობაში მყოფ ავტომანქანების ექსპლოატაციას, საფრთხეს უქმნიან მოძრაობის უშიშროებას, აგრეთვე მართავენ ავტომანქანებს არაფხიზელ მდგომარეობაში ან მათ მართვას ანდობენ ისეთ პირებს, რომლებსაც ავტოტრანსპორტის მართვის უფლება არა აქვთ,—დაედებათ ჯარიმა 100-დან 500 მანეთამდე ან დაპატიმრებული იქნებიან 3-დან 15 დღე-ღამემდე, აგრეთვე ჩამოერთმევათ ავტოტრანსპორტის მართვის უფლება ექვს თვემდე.

იგივე მოქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს ჯარიმას 100-დან 500 მანეთამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას 6 თვიდან ერთ წლამდე.

2. მსუბუქი ავტომანქანების მფლობელები და ამ მანქანების მძღოლები ავტოტრანსპორტის გამოყენებისათვის პირადი გამორჩენის მიზნით—დაჯარიმდებიან 100-დან 500 მანეთამდე ან დაპატიმრებული იქნებიან ვადით 3-დან 15 დღე-ღამემდე, აგრეთვე ჩამოერთმევათ ავტოტრანსპორტის მართვის უფლება ექვს თვემდე.

იგივე მოქმედება ჩადენილი განმეორებით გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, ავტომანქანის კონფისკაციას და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ორ წლამდე.

3. ავტოტრანსპორტის მოძრაობის წესების ან მისი ექსპლოატაციის წესების დარღვევა მსუბუქი ავტომანქანების მფლობელებისა და ამ მანქანების მძღოლთა მიერ, რასაც მოყვა ადამიანის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება,—გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ათ წლამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ხუთ წლამდე.

იგივე მოქმედება, თუ მას შედეგად მოყვა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე და ავტოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევას ორ წლამდე.

მსუბუქი ავტომანქანის მფლობელის მიერ ავტომანქანის გადაცემა მართვისათვის ისეთ პირზე, რომელსაც ავტოტრანსპორტის მართვის უფლება არა აქვს, თუ ამას შედეგად მოყვა ადამიანთა დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთი წლით ან იძულებით მუშაობას იმავე ვადით და ავტომანქანის კონფისკაციას.

4. ამ ბრძანებულების 1 მუხლით და მე-2 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დარღვევათა შესახებ აღძრულ საქმეებს განიხილავს სახალხო მოსამართლე ერთპიროვნულად მილიციის ორგანოებისაგან სათანადო



მასალების შემოსვლის დროიდან ერთი დღე-ღამის განმავლობაში, დარღვევის შემთხვევაში და მამულები პირის და საკურო შემთხვევებში—მოწმეთა გამოწვევით.

5. ეს ბრძანებულება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან 15 დღეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.

1958 წ. 18 მარტი.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატების თადარიგის და კადრის ოფიცერთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

სამხედრო კომისარიატების ორგანიზაციის დღიდან 40 წლისთავთან დაკავშირებით, ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

- | | |
|---------------------------------------|---------------------------|
| 1. ადღიშვილი შალვა ნიკო-ლოზის-ძე | — თადარიგის პოლკოვნიკი |
| 2. აესარქისოვი ალექსანდრე გრიგოლის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 3. ართმელაძე რიპატ მეფულდის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 4. ბილანიშვილი გიორგი ივანეს-ძე | — პოლკოვნიკი |
| 5. თათეოსიან ქრისტეფორე გაბრიელის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 6. თედევი პავლე დიმიტრის-ძე | — მაიორი |
| 7. თოლორაია იოსებ ანდრიას-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 8. კანანოვი დავით ივანეს-ძე | — პოლკოვნიკი |
| 9. კაჩიბაია ნიკოლოზ მელიტონის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 10. ლობჯანიძე შალვა ალექსის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 11. მარღანია ალექსანდრე სპირიდონის-ძე | — თადარიგის პოდპოლკოვნიკი |
| 12. მიხაილოვი პავლე ვასილის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 13. ოვანესიანი სარქის ხურშუტის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |



- 14. სირაძე ბენედიქტე — მაიორი
ივანეს-ძე
- 15. ფაჩუაშვილი გიორგი — პოდპოლკოვნიკი
ერასტის-ძე
- 16. ფილიპოვიჩ ვლადიმერ — თადარიგის პოდპოლკოვნიკი
სერგის-ძე
- 17. ყურაშვილი ლეონტი — მაიორი
რომანოზის-ძე
- 18. შავიანიძე ნიკოლოზ — თადარიგის პოლკოვნიკი
არჩილის-ძე
- 19. შევჩენკო ნიკოლოზ — პოდპოლკოვნიკი
ნიკონორის-ძე
- 20. შენგელიძე ვლადიმერ — პოდპოლკოვნიკი
გიორგის-ძე
- 21. ჩაგელიშვილი შალვა — პოლკოვნიკი
ილიას-ძე
- 22. ჩუნიაშვილი გიორგი — მაიორი
დავითის-ძე
- 23. ცინცაძე შოთა — კაპიტანი
ვლადიმერის-ძე
- 24. ხიზდერ ბორის — პოდპოლკოვნიკი
ალექსანდრეს-ძე
- 25. ჯინჭველაძე არჩილ — თადარიგის პოდპოლკოვნიკი.
ზაქარაის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 7 აპრილი.

მ. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ქ. თბილისის დაცვის გასამხედროებული სახანძრო რაზმის დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საბჭოთა სახანძრო დაცვის 40 წლისთავთან დაკავშირებით და სოციალისტური საკუთრებისა და ქ. თბილისის მოქალაქეთა ქონების სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის, დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღ-



ლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით საქართველოს სსრ შინაგან-საგარეო მეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს ქ. თბილისის დაცვის განსამხედროებულ სახანძრო რაზმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 16 აპრილი.

4. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკების დაჯილდოების შესახებ შედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის ჩაქრობის დროს გაბედულობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

შედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

- | | |
|--|---|
| 1. ამაშუკელი რევაზ
ალექსანდრეს-ძე | — სერჟანტი |
| 2. არტემოვი იაკობ
ნიკოლოზის-ძე | — პოდპოლკოვნიკი |
| 3. ბალამწარაშვილი ალექსი
ილიას-ძე | — სერჟანტი |
| 4. ბერაია დავით
თევდორეს-ძე | — ფოთის საქალაქო სახანძრო დაცვის ათე-
ულის მეთაური |
| 5. გულიევი საფრონ
გაბრიელის-ძე | — უმცროსი სერჟანტი |
| 6. დანიელოვი მიხეილ
იაკობის-ძე | — უფროსი ტექნიკ-ლეიტენანტი |
| 7. დენისენკო თევდორე
ვლადიმერის-ძე | — უმცროსი სერჟანტი |
| 8. დროზდოვი ანტონ
მიხეილის-ძე | — უფროსი სერჟანტი |
| 9. იაშადაშვილი ვახტანგ
სარქისის-ძე | — სერჟანტი |
| 10. კავთიაშვილი გერონტი
ზაქარაის-ძე | — ეფრეიტორი |
| 11. კორჟინევსკი ვიორგი
ტიმოთეს-ძე | — უფროსი ტექნიკ-ლეიტენანტი |



- 12. კობრიძე ნიკოლოზ — ქობულეთის საქალაქო სახანძრო რაზმის
ვასილის-ძე უფროსი
- 13. კუზნეცოვი ვასილ — სოხუმის საქალაქო სახანძრო დაცვის
ეგნატეს-ძე ათეულის მეთაური
- 14. მაგლობლიშვილი გიორგი — სერჟანტი
იაკობის-ძე
- 15. პაჭკორია ერი — ინჟინერ-პოლკოვნიკი
ანტონის-ძე
- 16. სააკიანი სუმბათ — უფროსი სერჟანტი
შაკარის-ძე
- 17. ტეგოიანი მამიკონ — სერჟანტი
სტეფანეს-ძე
- 18. ხეჩოიანი ნიკოლოზ — უმცროსი სერჟანტი.
აირაპეტის-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წლის 16 აპრილი.

პ. ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის მუშაკთა ხანძარსაწინააღმდეგო ნებაყოფლობითი შენაერთების წევრთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

საბჭოთა სახანძრო დაცვის 40 წლისთავთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძრისაგან უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში დამსახურებისათვის, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

- 1. ავაბაბოვი აკოვ — ლეიტენანტი
ალექსანდრეს-ძე
- 2. ალექსევი ვლადიმერ — უფროსი ტექნიკ-ლეიტენანტი
ანტონის-ძე
- 3. ალოიანი სერგი — მაიორი
აბრამის-ძე
- 4. აფხაზავა სერაფიონ — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს
ფარნაოზის-ძე სოფსაბჭოს თავმჯდომარე
- 5. ბაირამოვი მურსალ — ბოლნისის საქალაქო სახანძრო რაზმის
ისკანდარის-ძე უფროსი
- 6. ბარამიძე ვასილ — პოლკოვნიკი
ივანეს-ძე



- 7. ბერიანიძე ზალვა — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
- 8. ბობოჯინიკოვი ივანე — მაიორი
- 9. გამაღვი ვლადიმერ — ლავოდების საქალაქო სახანძრო დაცვის რაზმის მებრძოლი
- 10. გირგულიანი პარმენ — უმცროსი ლეიტენანტი
- 11. გოდერიძე დავით — ქუთაისის საქალაქო სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსი
- 12. გონიაშვილი ვახტანგ — სერჟანტი
- 13. გრივაჩ ვლადიმერ — ზემდეგი
- 14. დარცმელია მიხეილ — ზემდეგი
- 15. დევიძე პლატონ — ლეიტენანტი
- 16. ევიანცი სარქის — ტექნიკ-ლეიტენანტი
- 17. ეფიმოვი სერგი კუზმას-ძე — ტექნიკ-ლეიტენანტი
- 18. ვანიშვილი სიმონ — გორის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული
- 19. ვერძაძე მამედ მამედის-ძე — სერჟანტი
- 20. თაბაგარი გრიგოლ — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ნებაყოფლობითი სახანძრო რაზმის უფროსი
- 21. კაკაურიძე ამირან — ლეიტენანტი
- 22. კარაკაშიანი არუთინ — ახალციხის საქალაქო სახანძრო რაზმის ყარაულის უფროსი
- 23. კაშია ვალენტინა — ინჟინერ-მაიორი
- 24. კიკვაძე დავით — ქუთაისის საქალაქო სახანძრო რაზმის ათეულის მეთაურის მოადგილე
- 25. კირაკოშოვი არმენაკ — გურჯაანის რაიონის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე
- 26. მარშანია ქემალ — სოხუმის საქალაქო სახანძრო რაზმის ავტომანქანის მძღოლი
- 27. ნატროშვილი გიორგი — ტექნიკ-ლეიტენანტი
- 28. ოსიპოვი გრიგოლ — კაპიტანი
- 29. პაპაშვილი ლევან — სერჟანტი



- 30. რობიტაშვილი სპირიდონ — წითელწყაროს სახანძრო რაზმის უფროსი ნიკოლოზის-ძე
- 31. რომაშვილი ალექსანდრე — უფროსი სერჟანტი ეფიმიის-ძე
- 32. სვირავა არველოდ — ლეიტენანტი ილარიონის-ძე
- 33. სობოლევნი დიმიტრი — „მთავარნავთობგასაღების“ ბათუმის სასა- მიხეილის-ძე ქონლო-სატრანსპორტო სამმართველოს მთავარი ინჟინერი
- 34. სოროკატი ივანე — კაპიტანი დავითის-ძე
- 35. სურინი ვალენტინ — უფროსი ტექნიკ-ლეიტენანტი ივანეს-ძე
- 36. ქართველიშვილი შიო — ზემდეგი გიორგის-ძე
- 37. ჩალაძე ლევან — ონის რაიონის სოფ. ნაკიეთის სვერდლო- სოფრომის-ძე ვის სახელობის კოლმეურნეობის ნება- ყოფლობითი სახანძრო რაზმის უფროსი
- 38. წითელაძე იუსუფ — ტექნიკ-ლეიტენანტი ახმედის ძე
- 39. წითლიძე გივი — მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ლე- აკაკის-ძე ნინის სახელობის კოლმეურნეობის თავმ- ჯდომარე
- 40. ქაობაშვილი ნიკოლოზ — სერჟანტი ილიას-ძე
- 41. ხაჯომია სერგი — გეგეჭკორის სახანძრო რაზმის უფროსის ალექსანდრეს-ძე თანაშემწე
- 42. ხუტაშვილი იოსებ — უმცროსი სერჟანტი ივანეს-ძე
- 43. ჯიჯოვევი ვლადიმერ — უფროსი ლეიტენანტი. პავლეს-ძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1958 წ. 16 აპრილი.

6. სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშის ჩაბა- რების მდგომარეობისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რა საქარ- თველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ანხ. გ. კ. ცქიტიშვილის მოხსენება სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშის



ჩაბარების მდგომარეობისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის შესახებ აღნიშნავს, რომ 1957 წელში სახალხო მოსამართლეებმა 1956 წელთან შედარებით გააუმჯობესეს ამომრჩევლებთან ანგარიშგება და სახალხო მსაჯულებთან მუშაობა, რითაც განამტკიცეს კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, კიდევ უფრო ღრმად აცნობენ ამომრჩევლებს საბჭოთა სასამართლოს დემოკრატიულ პრინციპებს და მეტ ყურადღებას აქცევენ სახალხო მსაჯულების იურიდიული ცოდნის ამაღლებას.

1957 წლის განმავლობაში რესპუბლიკის ყველა სახალხო მოსამართლემ ჩააბარა ანგარიში თავის ამომრჩევლებს, სახალხო მოსამართლეები ამომრჩევლების წინაშე გამოდიან მოხსენებებით საბჭოთა კანონმდებლობის, სასამართლო წყობილების, საბჭოთა სასამართლოს მუშაობის პრინციპების და სხვა საკითხებზე.

მიუხედავად ამისა სახალხო მოსამართლეებს ანგარიშგებისა და სახალხო მსაჯულთა შორის მუშაობის საქმეში გააჩნიათ არსებითი ნაკლოვანებები. სახალხო მოსამართლეების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე სიღნაღის, ყვარლის, ხაშურის, ზესტაფონის, ქუთაისის, ქ. ფოთის და ზოგიერთ სხვა რაიონში დაბალ დონეზე ტარდება და ფორმალურ ხასიათს ატარებს, მოსამართლეები არა საქმიანად ემზადებიან ანგარიშგებისათვის, მოხსენებებს ზერეულად ადგენენ და თავის ანგარიშებს არ უკავშირებენ რაიონისა თუ ქალაქის წინაშე მდგომ ამოცანებს. მოხსენებებში არ აღნიშნავენ სასამართლოების სერიოზულ ნაკლოვანებებს, საქმეების განხილვის გაქიანურებისა და აღსრულების ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, სასამართლოების სხდომების დაგვიანებით დაწყების, მსუბუქი სასჯელის დადებისა და უსაფუძვლოდ დასჯის ფაქტებს, როცა ასეთს ადგილი აქვს მათ მუშაობაში. ქუთაისის, დუშეთის, ზესტაფონის, ქ. ფოთის და ზოგიერთ სხვა რაიონებში სახალხო მოსამართლეებს თავიანთი საარჩევნო ოლქის უმრავლეს წარმოება-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში საანგარიშო მოხსენებები არ ჩაუტარებიათ, ხოლო სადაც ჩაატარეს, საანგარიშო კრებების მოუმზადებლობის გამო ამომრჩეველთა მცირე რაოდენობა ესწრებოდა და არ უზრუნველყოფდნენ მათ აქტიობას მოხსენებების განხილვისას.

ქ. ქუთაისის, დუშეთის, სიღნაღის, ლანჩხუთის და ზოგიერთი სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა მიერ შემოტანილ საქმიან წინადადებებს და კრიტიკულ შენიშვნებს სათანადოდ არ აღრიცხავენ და არ ანზოგადებენ, არ იხილავენ სასამართლოს მუშაკთა საწარმოო თათბირებზე და ამ წინადადებათა შესრულებისათვის არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს.

მთელ რიგ სახალხო სასამართლოებში არადაამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სახალხო მსაჯულებთან მუშაობა მათი იურიდიული ცოდნის ამაღლებისათვის, მათთან ყველა მოსამართლე არ ატარებს სისტემატურ მეცადინეობას, მოსამართლეთა მიერ ჩატარებულ მეცადინეობებს სახალხო მსაჯულთა უმცირესობა ესწრება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას და ხელმძღვანელობას არ უწევს სახალხო სასამართლოებს ამომრჩევლებთან ანგარიშგებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ზოგიერ-



თი აღმასკომები არ ამოწმებენ სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩევლებთან ანგარიშების მიმდინარეობას და არ ისმენენ მათ მოხსენებებს ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გამოვლენებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაველოს სახალხო მოსამართლეებს დროულად გამოასწორონ ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, კიდევ უფრო განამტკიცონ კავშირი ამომრჩევლებთან, რისთვისაც პერიოდულად ჩატარონ მათთან საანგარიშო მოხსენებები თავიანთ მუშაობაზე და სასამართლოს საქმიანობაზე. საბჭოთა სამართლის პროპაგანდის მიზნით გამოვიდნენ მოხსენებებით მშრომელთა წინაშე საბჭოთა სასამართლოს მუშაობის პრინციპების, სასამართლო წყობილების, საბჭოთა კანონმდებლობის განმტკიცების შესახებ და სხვ. მიიღონ ზომები სასამართლოს პროცესების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, მიაღწიონ საქმეთა განხილვისა და სააღსრულებო საქმეთა გაქიანურების ლიკვიდაციას და აღმოფხვრან სასამართლოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

2. დაველოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს:

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სახალხო სასამართლოებზე მოსამართლეების მიერ ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების ჩაბარების საქმის გაუმჯობესებისათვის და მიიღოს ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აღრიცხონ და გაითვალისწინონ მუშაობაში ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები, განაზოგადონ სახალხო სასამართლოების დადებითი მუშაობა ამ საქმეში და უზრუნველყონ სახალხო სასამართლოების საქმიანობის გაუმჯობესება;

ბ) გაუმჯობესოს სახალხო მსაჯულებთან მუშაობა, რისთვისაც სახალხო სასამართლოებში სამინისტროდან პერიოდულად მიავლინონ კვალიფიციური, გამოცდილი მუშაკები და გაუწიონ დახმარება სახალხო მოსამართლეებს ამ საქმეში.

3. დაველოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად შეამოწმონ სახალხო სასამართლოებში ამომრჩევლების ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობა, მოისმინონ მათი ანგარიში საბჭოსა და აღმასკომების სხდომებზე და გაუწიონ საჭირო დახმარება ამ საქმის გაუმჯობესებისათვის.

4. რჩევა მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, შეამოწმონ სახალხო მოსამართლეების ამომრჩევლების წინაშე ანგარიშების ჩაბარებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის მდგომარეობა და საკითხი განიხილონ პრეზიდიუმის სხდომებზე ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

5. დაველოს რესპუბლიკური გაზეთების რედაქტორებს პერიოდულად გააშუქონ გაზეთის ფურცლებზე სახალხო სასამართლოების საქმიანობა, ამომრჩევლებთან მოსამართლეების ანგარიშებისა და სახალხო მსაჯულებთან მუშაობის, როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — ზ. გელდიაშვილი.



7. „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. მ. თოფურიძის მოხსენებითი ბარათი და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოწმებული მასალები „წვრილმანი სპეკულაციისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობაზე, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს ამ დარგში ჩატარებული აქვთ გარკვეული მუშაობა.

ამასთან ერთად, შემოწმებით დადგინდა, რომ თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ქიათურის, ხაშურის, აბაშის, წყალტუბოს, ახალციხის და მთელ რიგ სხვა რაიონებში და ქალაქებში წვრილმანი სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი. ადგილი აქვს ამ კატეგორიის საქმეთა უხარისხოდ გამოძიებისა, არასწორი კვალიფიკაციისა და განხილვის გაჭიანურების შემთხვევებს.

ქ. რუსთავის, ქ. თბილისის სტალინის, აბაშის, ცხაკაიას და ზოგიერთ სხვა რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ წვრილმანი სპეკულაციის კვალიფიკაციით არიან გასამართლებული პირები, რომლებსაც ჩადენილი აქვთ უფრო მძიმე ხასიათის სპეკულაცია. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. კუქავა) მოქალაქეს, რომელმაც იყიდა ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და მოგების მიზნით ქ. ბათუმში ზედმეტ ფასებში გაყიდა, სსკ 142 მუხლით წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოდ მოუხსნა და წვრილმანი სპეკულაციის კვალიფიკაციით ერთი წლით პირობითი სასჯელი აკმარა.

ქ. თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. არზიანი) მოქალაქეს, რომელიც განმეორებით იქნა მხილებული სპეკულაციის დანაშაულში, სსკ 142 მუხლით წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოდ მოუხსნა და წვრილმანი სპეკულაციით გაასამართლა.

აბაშის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. კუცია) მოქალაქეს, რომელმაც კოლმეურნეობის დავალებით ქ. ოდესაში შეიძინა 1500 კილოგრამი ლობიო და აქედან 740 კილოგრამი გაყიდა ზედმეტ ფასებში მოგების მიზნით, წვრილმან სპეკულაციის კვალიფიკაციით გაასამართლა და 6 თვეთა შრომა-გასწორების მუშაობა აკმარა. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს ზოგიერთ სხვა სახალხო სასამართლოებშიც.

აგრეთვე გამოკვეთილია, რომ ზოგიერთი სახალხო სასამართლოები სსკ 142 მუხლით ვათვალისწინებულ დანაშაულით სჯიან ისეთ პირებს, რომლებსაც ჩადენილი აქვთ წვრილმანი სპეკულაცია.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. მეტრეველი) მოქალაქეს, რომელიც ყიდდა ქალის 5 ლიფს და წვრილმანი სპეკულაცია ჩადინა პირველად, სსკ 142 მუხლით გაასამართლა და საბოლოოდ 2 წელი და 6 თვე პატიმრობა მიუსაჯა.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. გობრონიძე) მოქალაქეს, რომელსაც აღმოაჩნდა ლილა—10, ნაფტალინი—15 და ფი-



ტილი 20 ცალი, არასწორად შეუფარდა სსკ 19—142 მუხლით გათვალისწინებული სასჯელი.

მილიციისა და პროკურატურის ორგანოების მიერ სპეკულაციის დანაშაულის დადგენისას დაშვებულია შეცდომები, არის შემთხვევები, როდესაც წვრილმანი სპეკულაციისათვის უფარდებენ სსკ 142 მუხლს ან პირიქით. მაგალითად: ახალციხის რაიპროკურატურამ (პროკურორი ამხ. მ. მერაბაშვილი) მოქალაქეს, რომელმაც 14,5 კგრ. მზესუმზირა შეიძინა გასაყიდად მოგების მიზნით, პასუხისგებაში მისცა სსკ 142 მუხლით. ქუთაისის პროკურატურამ (პროკურორი ამხ. ჟღენტი) მოქალაქის დანაშაული, რომელმაც ქ. თბილისში შეიძინა 35 კგრ. ბულგარული წიწაკა, 55 კგრ. მწვანილი, 130 კგრ. ბადრიჯანი და ქუთაისში ზედმეტ ფასებში გაყიდა, დააკვალიფიცირა წვრილმანი სპეკულაციით. ფოთის პროკურატურამ (პროკურორი ამხ. კოკია) ქ. ფოთის თევზის კომბინატის სააღმშენებლო უბნის საწყობის გამგის დანაშაული, რომელმაც წარმოებიდან მოიპარა 1 ტონა ცემენტი და 500 მანეთად გაყიდა, სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, წვრილმანი სპეკულაციით დააკვალიფიცირა და სახალხო სასამართლომაც ამავე კვალიფიკაციით გაასამართლა.

ხაშურის, კასპის, წყალტუბოს და მთელი რიგი სხვა რაიონების სახალხო სასამართლოები წვრილმანი სპეკულაციის დანაშაულზე უფარდებენ სასჯელის ისეთ ღონისძიებას, რაც ბრძანებულებით არ არის გათვალისწინებული. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლომ 3 მოქალაქეს 3—3 თვით და კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ 1 მოქალაქეს 4 თვით იძულებითი მუშაობა შეუფარდა მაშინ, როცა ბრძანებულებით ნ თევზე ნაკლები იძულებითი მუშაობა არ არის გათვალისწინებული.

მილიციის, პროკურატურის და სახალხო სასამართლოების მიერ აღვლილი აქვს წვრილმანი სპეკულაციის საქმეების გამოძიების და განხილვის გაჭიანურების ფაქტებს.

ქ. ბათუმის და ქ. კიათურის სახალხო სასამართლოებში საქმეებიდან არ სჩანს წვრილმან სპეკულაციაზე მსჯავრდადებული პირების მიმართ განაჩენები მიქცეულია თუ არა აღსასრულებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს აგრეთვე, რომ მშრომელთა დებუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ ისმენენ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მოხსენებებს წვრილმანი სპეკულაციის წინააღმდეგ ჩატარებული მუშაობის შესახებ და არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაველოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს (ამხ. ს. ს. როსტიაშვილი) და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. ვ. ნ. ჯანჯღავა):

- ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი წვრილმანი სპეკულაციის საქმეთა გამოძიებასა და განხილვაზე, გააუმჯობესონ შედგენილი საქმეების, საბრალდებულო დასკვნისა და განაჩენების ხარისხი და უმოკლეს დროში აღმოფხვრან ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი;
- ბ) მიიღონ ზომები იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც არასწორად შეუ-



ფარდებენ დამნაშავეებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულებას.

2. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. მ. ე. თოფურაძემ გააძლიეროს ზედამხედველობა და კონტროლი წვრილმანი სპეკულაციის საქმეებზე, უზრუნველყოს ამ კატეგორიის საქმეების დროული გამოძიება და კანონის შესაბამისად დაკვალიფიცირება.

3. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ (ამხ. ს. ს. როსტიაშვილი) მიიღოს ზომები, რათა წვრილმანი სპეკულაციის საქმეებზე გამოტანილი განაჩენები სახალხო სასამართლოების მიერ დროულად იქნას მიქცეული აღსასრულებლად.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებს, ფართოდ გააჩაღონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში წვრილმანი სპეკულაციის აღსაკვეთად და მკვეთრად გააუმჯობესონ მის წინააღმდეგ ბრძოლა.

5. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს პერიოდულად მოისმინონ აღმასკომების სხდომებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და მიიღონ ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. რჩევა მიეცეს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, შეამოწმონ და მოისმინონ პრეზიდიუმის სხდომებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 11 ივნისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკურ, საოლქო და რაიონულ გაზეთების რედაქტორებს, პერიოდულად გააშუქონ გაზეთების ფურცლებზე წვრილმანი სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები და ამხილონ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1958 წ. 17 აპრილი.

8. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „საქართველოს სს რესპუბლიკაში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად



წარდგენისა და მათთვის ორდენებისა და მედლების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ“ პრეზიდიუმის 1957 წლის 7 იანვრის დადგენილების შესრულების შედეგად, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა მრავალშვილიანი დედების დროულად გამოვლინებისა და დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა. 1957 წელს საგრძობლად გაიზარდა აღმასკომების მიერ დასაჯილდოებლად წარდგენილი მრავალშვილიანი დედების რაოდენობა. თუ 1956 წელს რესპუბლიკაში დაჯილდოვდა მხოლოდ 2.725 მრავალშვილიანი დედა, 1957 წლის განმავლობაში დაჯილდოვდა 4.476 დედა, მათ შორის 62 მიენიჭა „გმირი დედის“ საპატიო წოდება.

მიუხედავად ამისა, შემოწმებით გამოირკვა, რომ მშრომელთა დეპუტატების მთელ რიგ რაიონულ საბჭოების აღმასკომებს მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ ნაკლოვანებანი. 1957 წელს ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დასაჯილდოებლად წარმოადგინა მხოლოდ 26 მრავალშვილიანი დედა, ნაცვლად დასაჯილდოებელი 95, კაქრეთის რაიონის აღმასკომმა—8, ნაცვლად 70, თერჯოლის 13, ნაცვლად 60, ლენტეხის 13, ნაცვლად 103, ზუგდიდის—96, ნაცვლად 250, ჩხოროწყუს—50, ნაკვლად 102, ახალქალაქის—212, ნაცვლად 420 დედისა და სხვა. რაიონისაგან სოცუზრუნველყოფის განყოფილებების მუშაობის სერიოზული ნაკლი კვლავ ის არის, რომ არ არის მოწესრიგებული დასაჯილდოებლად წარსადგენი მრავალშვილიანი დედების ჯეროვანი აღრიცხვა. აგრეთვე ის, რომ განყოფილებები არ იცავენ ინსტრუქციის მოთხოვნას მრავალშვილიანი დედებისათვის ყოველთვიური დახმარების დანიშვნისას ერთსადიამივე დროს მათი დასაჯილდოებლად წარდგენის შესახებ.

მთელ რიგ რაიონებში, ჯერ კიდევ, ადგილი აქვს მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის გაჭიანურების ფაქტებს. შემოწმებით გამოვლინდა, რომ ვანის რაიონში—38 და წულუკიძის რაიონში 46 მრავალშვილიანი დედა, რომლებიც ექვემდებარებოდნენ ჯერ კიდევ 1953, 1954, 1955 წლებში დაჯილდოებას, დღემდე არ არიან წარდგენილი დასაჯილდოებლად.

ბოგდანოვკის, დმანისის, ზუგდიდის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ჩოხატაურის და მთელ რიგ სხვა რაიონებში აღრიცხვის არადაამაკმაყოფილებლად დაყენებისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებების მუშაების უკუარაღებო დამოკიდებულების შედეგად ადგილი ქონდა მრავალშვილიანი დედების იმავე ჯილდოზე განმეორებით წარდგენის შემთხვევებს, მართო ახალქალაქის რაიონისაგან იმავე ჯილდოზე განმეორებით წარმოადგინა 5 მრავალშვილიანი დედა.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები ძალზე აჭიანურებენ დაჯილდოებული მრავალშვილიანი დედებისათვის ორდენებისა და მედლების ჩაბარებას. მიმდინარე წლის 15 აპრილის მდგომარეობით რესპუბლიკაში ჩაუბარებელი იყო 1957 წლის 388 ჯილდო, მესტიის რაიონისაგან არ ქონდა ჩაბარებული 26, ცაგერის რაიონისაგან 26, გეგეჭკორის რაიონისაგან 29, გორის რაიონისაგან 44, აბაშის რაიონისაგან 50, ჭიათურის რაიონისაგან 50 და სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომს 132 ჯილდო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დავეალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დე-



პუტატების საბჭოს აღმასკომს და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) უახლოეს დროში მოაწესრიგონ სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების ზუსტი აღრიცხვა სასოფლო საბჭოების მიხედვით და წარადგინონ ისინი დასაჯილდოებლად. მომავალში დედების დასაჯილდოებლად წარდგენა უზრუნველყონ მათთვის პირველი ყოველთვიური დახმარების დანიშვნისთანავე;

ბ) უახლოეს დროში შეამოწმონ ყველა მრავალშვილიანი დედის პირადი საქმე და წარსულ წლებში დაუჯილდოებელი მრავალშვილიანი დედების გამოვლინების შემთხვევაში წარადგინონ ისინი ჯილდოზე.

გ) მოაწესრიგონ დაჯილდოებული მრავალშვილიანი დედების ზუსტი აღფაბეტური აღრიცხვა იმ მიზნით, რომ არ იქნეს მომავალში დაშვებული მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე განმეორებით წარდგენა;

დ) დაჯილდოებულ ყველა დედას ორი კვირის ვადაში ჩააბარონ ჩაუბარებელი ჯილდო და შემდეგში ზუსტად დაიცვან ჯილდოს ჩაბარების სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ინსტრუქციით დადგენილი ვადა.

2. მიქცეული იქნას ახალქალაქის, ზოგდანოვკის, დმანისის, ზუგდიდის, ყაზბეგის, ლაგოდეხის, მარნეულის, საგარეჯოს, საჩხერის, თეთრიწყაროს, ხობის, ქიათურის და ჩოხატაურის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების ყურადღება, მრავალშვილიანი დედების წინათმძღებულ ჯილდოზე განმეორებით წარდგენის დაუშვებლობაზე.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს (ამხ. ა. გიგოშვილი) გააძლიეროს კონტროლი და დახმარება მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების სოცუზრუნველყოფის განყოფილებების მიმართ მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.

1958 წ. 17 აპრილი.

9. ბრძანებულია საქართველოს სახელმწიფო კვარტეტისათვის საქართველოს დამსახურებული ანსამბლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში დიდი დამსახურებისათვის და მაღალი პროფესიული ოსტატობისათვის, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტს მიენიჭოს „საქართველოს დამსახურებული ანსამბლის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.

1958 წ. 18 აპრილი.



10. ბრძანებულება საქართველოს სსრ ხელოვნების მოღვაწეებისათვის საქართველოს პატრიოტული წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და ქ. მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატრიოტული წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

- 1. გოცირიძეს ლეილა მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს
- 2. გრიგორაშვილს გრიგოლ მაქსიმეს-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს
- 3. გომელაურს ალექსანდრე გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
- 4. დოლიძეს სიმონ ბესარიონის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კინორეჟისორს
- 5. დაუშვილს კონსტანტინე დავითის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
- 6. შირცხულავას დიდიმ ლავრენტის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დირიჟორს
- 7. თუმანიშვილს იოსებ მიხეილის-ძეს — რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორს
- 8. მშველიძეს შალვა მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კომპოზიტორს
- 9. ომიადეს ალექსანდრე ასლანის-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობს
- 10. ყუშიტაშვილს ვასილ პავლეს-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის რეჟისორს

0197



- 11. ჩხარტიშვილს არჩილ ვესტაფის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, შ. რუსთაველის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის რეჟისორს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა:

- 1. ვირსალაძეს სოლომონ ბაგრატიის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს
- 2. თოფურიძეს ვალენტინ ბაგრატიის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს
- 3. მერაბიშვილს კონსტანტინე მიხეილის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს
- 4. ქობულაძეს სერგო სოლომონის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დირექტორს
- 5. ქუთათელაძეს აპოლონ ყარამანის-ძეს — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, მხატვარს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

- 1. ასათიანს გიორგი ირაკლის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორს
- 2. გაბაშვილს დავით ალექსანდრეს-ძეს — მხატვარს
- 3. გოკიელს ჯემალ ივანეს-ძეს — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს
- 4. გორდენიანს ბენო პავლეს-ძეს — მხატვარს
- 5. დონაძეს ვლადიმერ გრიგოლის-ძეს — მუსიკის მკვლევარს
- 6. დვალის-შვილს აკაკი არჩილის ძეს — რეჟისორს
- 7. ღუმინს იან იანის-ძეს — ლატვიის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონსულტანტს
- 8. ვაშაქიძეს კირილე ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის ხელმძღვანელს
- 9. ვისოცკის ფელიქს მიხეილის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორს
- 10. კავსაძეს ანზორ გრიგოლის-ძეს — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დირიჟორს
- 11. კანდელაკს ირაკლი ისაკის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორ-დამდგმელს

- 12. კეშელავას ვლადიმერ ანტონის-ძეს — მხატვარს
- 13. ლალიძეს რევაზ ილიას-ძეს — კომპოზიტორს
- 14. მამალაძეს ლეონიდ სარდიონის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მხატვარს
- 15. მაისაშვილს სევერიან დავითის-ძეს — მხატვარს
- 16. მანაგაძეს შოთა ილიას-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინორეჟისორს
- 17. პატარაიას პავლე გიორგის-ძეს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილეს
- 18. სანიშვილს (სანოვს) ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს, ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს
- 19. სტურუას რობერტ ივანეს-ძეს — მხატვარს
- 20. ფალიაშვილს ვახტანგ ლევანის-ძეს — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის დირიჟორს
- 21. ფელდმანს მარკუს მოსეს-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოოპერატორს
- 22. ხაჩიძეს ერასტი სიმონის-ძეს — ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორის მოადგილეს
